## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

## წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი  ს ა ბ ჭ ო

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/11**

**ქ. ბათუმი** **16 თებერვალი, 2021წ.**

**ბსუ-ს ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასურის 2250 ლარამდე შემცირების შესახებ**

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის“ მე-10 მუხლის თანხმად, მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების მიზნით ერთიან სამაგისტრო საგამოცდო ქსელში გაერთიანებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამაგისტრო გამოცდების ჩატარების წლის პირველი თებერვლიდან 10 თებერვლამდე შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში (სპეციალური ელექტრონული პროგრამა - https://online1.naec.ge/mfu/) ელექტრონული ფორმით ასახავს სპეციალურ ანკეტა-კითხვარს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაციას. 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნა ყოველწლიურად სრულდება ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით.

ათეული წლის განმავლობაში ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით ყოველწლიურად მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი და თითოეული პროგრამის სწავლის საფასური. ამის შემდეგ, ბსუ-ს პროგრამებზე სწავლის საფასური ყოველწლიურად მტკიცდებოდა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებებით. ბსუ-ს მიერ დამტკიცებული ანკეტა-კითხვარები ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ეგზავნებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ,,..სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის საფასური შეიძლება აღემატებოდეს სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობას მხოლოდ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.“ ამ ნორმის საფუძველზე უნივერსიტეტმა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით (https://eflow.emis.ge/) პირველად მიმართა საქართველოს მთავრობას 2018 წლის 22 თებერვალს (MES 3 18 0000200629, 22.02.2018 წ.), რათა მიეღო თანხმობა ზოგიერთ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომლებიც ,,ბსუ-ში ყველაზე მოთხოვნადი იყო“, სწავლის წლიური საფასური განესაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტი ოდენობით, კერძოდ: ა) 2500 ლარით - ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე; ბ) 2750 ლარით - ,,სამართალის“, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" და ,,ფინანსები და საბანკო საქმის" მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მონაცემების თანახმად, უნივერსიტეტის წერილი 2018 წლის 12 აპრილს (GOV 3 18 00011394, 12.04.2018წ.) განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ხოლო საქართველოს მთავრობის სამინისტროსადმი გზავნილის ასლი შემოვიდა უნივერსიტეტში (MES 0 18 0000410218, 12.04.2018 წ.). საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით (https://eflow.emis.ge/) როგორც ირკვევა, სამინისტროს საბიუჯეტო სამმართველოს აღნიშნული აქვს ამ კორესპონდენციის ,,სტატუსში“ - ,,დასრულებული“, ხოლო ,,შედეგში“ - ,,შევასრულე“, თუმცა რაიმე სახის დოკუმენტი არ არის მიმაგრებული სისტემაში და ვერც ბსუ-ს კანცელარიაში და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში (მათ შორის სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართებზე) მოიძებნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა თხოვნით მიმართა სამინისტროს (წერილი MES 2 20 0001220596, 22.12.2020 წ) ეცნობებინათ უნივერსიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისათვის 2018 წლის 22 თებერვალს გაგზავნილი კორესპონდენციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განხილვის შედეგი. ბსუ-ს ამ თხოვნაზე უნივერსიტეტმა მიიღო სამინისტროს წერილი (MES 6 20 000 1230544, 25.12.2020წ), რომლის თანახმად სწავლის საფასურის გაზრდის თაობაზე ინიციატივა/შუამდგომლობა უნივერსიტეტმა უნდა წარადგინოს სამინისტროში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 11 სექტემბრის N169 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივებისა/პროექტების წარმოდგენის წესები და ვადების“ დაცვით.

მიმდინარე წელს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილებით დამტკიცდა 2021-2022 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარი, რომელშიც აღნიშნულ ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის საფასური აღემატებოდა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობას: 1. 2500 ლარით - ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე; 2. 2750 ლარით - ,,სამართალის“, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" და ,,ფინანსები და საბანკო საქმის" მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილების მიღების

შემდეგ ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ 2021 წლის 20 იანვარს N07-01/01 გადაწყვეტილებით დაამტკიცა 2021-2022 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების ანკეტა-კითხვარში მითითებული სწავლის საფასური.

ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების 2021-2022 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარში აღნიშნული ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის სწავლის წლიური საფასურის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტი ოდენობით განსაზღვრისათვის საქართველოს მთავრობის თანხმობის მისაღებად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ბსუ-ს მიერ 2021 წლის 29 იანვარს გაიგზავნა შუამდგომლობა/ინიციატივა (წერილი MES121 0000043042, 29.01.2021წ), რომელსაც თან ერთვოდა საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი და მისი მიღებისათვის შესაბამისი განმარტებითი ბარათი.

უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის იანვარში მომზადებული საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტის თანახმად, იგი ძალაში უნდა შესულიყო და გავრცელდებოდა 2017-2018 სასწავლო წლიდან - ,,,სამართალის“, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" და ,,ფინანსები და საბანკო საქმის" მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ხოლო 2018-2019 სასწავლო წლიდან - 2020 წლის დეკემბერში ხელახლა აკრედიტირებულ ,,ტურიზმის მენეჯმენტის“ პროგრამაზე (მანამდე - ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე). მთავრობის განკარგულების ამ პროექტის შედგენის საფუძვლად უნივერსიტეტის მიერ მიჩნეული იქნა ბსუ-ს მიერ საქართველოს მთავრობაში 2018 წელს გაგზავნილი კორესპონდენცია (MES 3 18 0000200629, 22.02.2018 წ.) თანხმობის მიღებაზე და ის ფაქტობრივი გარემოებები, რომ გაზრდილი სწავლის საფასურის ოდენობა მითითებული იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში ყოველწლიურად და შესაბამისად, აღნიშნული იყო ერთიანი სამაგისტრო გამოცდების ჩატარების შედეგად 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ჩათვლით ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ მაგისტრანტობის კანდიდატებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში. აღნიშნულიდან გამომდინარე სწავლის საფასურის გაზრდილი ოდენობა გათვალისწინებული იყო ბსუ-ს ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვით ნაწილში და ამ სამაგისტრო პროგრამების ხარჯთაღრიცხვის (ბიუჯეტის) დამტკიცების შესახებ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში, რომლებიც წარედგინა სსიპ - განათლების ხარისხი განვითარების ეროვნულ ცენტრს, შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ამავე საკითხზე წარმოებული კომუნიკაციისა და იმის გათვალისწინებით, რომ 2021-2022 სასწავლო წლისათვის განსაზღვრულ ანკეტა-კითხვარში ზოგიერთ სამაგისტრო პროგრამაზე მითითებული გაზრდილი სწავლის საფასურის (რომელიც აღემატება სასწავლო სამაგისტრო გრანტის ოდენობას) თაობაზე საქართველოს მთავრობის თანხმობის მიღების პროცესი მოითხოვდა გარკვეულ პერიოდს, ხოლო ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაცია კი არაუგვიანეს 2021 წლის 9 თებერვლისა უნდა მომხდარიყო, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის N06-01/08

დადგენილებით ცვლილება შევიდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილებაში (2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“) და 2021-2022 სასწ. წლის ანკეტა-კითხვარი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელშიც აღნიშნული ბსუ-ს არცერთი სამაგისტრო პროგრამის სწავლის საფასური არ აღემატება 2250 ლარს.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის N06-01/08 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ამავე საკითხზე წარმოებული კომუნიკაციის გათვალისწინებით, ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა იმსჯელოს მაგისტრატურის აკრედიტებულ იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აღნიშნული სწავლის საფასურის 2250 ლარამდე შემცირების თაობაზე, რომლებზეც წინა სასწავლო წლებში სწავლის წლიური საფასური განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტი ოდენობით: 1. 2500 ლარით -,,ტურიზმის მენეჯმენტის“ მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (დასახელება ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი“ - ხელახალ აკრედიტაციამდე - 30.12.2020, N1243301) 2. 2750 ლარით - ,,სამართალის“, ,,ბიზნესის ადმინისტრირების" და ,,ფინანსები და საბანკო საქმის" მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე).

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის N06-01/08 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ბსუ-ს მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაეგზავნა შესაბამისი წერილობითი კორესპონდენცია (N75615, 08.02.2021წ) და ეთხოვა არ მიეცეს მსვლელობა ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების 2021-2022 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარში აღნიშნული ზოგიერთი სამაგისტრო პროგრამის სწავლის წლიური საფასურის სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტი ოდენობით განსაზღვრისათვის საქართველოს მთავრობის თანხმობის მისაღებად ბსუ-ს წერილით (MES1210000043042, 29.01.2021წ) მოთხოვნილ შუამდგომლობას (ინიციატივას).

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების, ფაქტობრივი გარემოებების, წარმოებული კორესპონდენციისა და მიღებული კონსულტაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სწავლის წლიური საფასური შემცირდეს 2250 ლარამდე ბსუ-ს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზეც ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტით, საქართველოს მთავრობის თანხმობის (განკარგულების) გარეშე. აღნიშნული ცვლილება უნდა გავრცელდეს წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დროისათვის ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების (,,სამართალი“ ,,ბიზნესის ადმინისტრირება“, ფინანსები და საბანკო საქმე“ და ,,ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი“) სტუდენტებზე, რომლებსაც არ დაუსრულებიათ სწავლა ბსუ-ში, შესაბამისად, უნდა

შევიდეს ცვლილებები (გაფორმდეს შეთანხმებები) მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,2018-2019 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპის, მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 15 თებერვლის N01 გადაწყვეტილების (საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2018 წლის 02 თებერვლის №7 დადგენილება), ,,საჯარო სამართლის იურიდული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ზოგიერთ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N06 გადაწყვეტილების (საფუძველი: ,,ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ -ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 3 აპრილის №40 დადგენილება; პროგრამის ბიუჯეტების ბრძანებები N01-11/47, 5.04.2018 და N01-11/48, 10.04.2018);

,,2019-2020 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტიგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპის, მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 1 მარტის N07-01/03 გადაწყვეტილების (საფუძველი: აკადემიური საბჭოს 2019 წლის 06 თებერვლის №06-01\04 დადგენილება).

,,ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის („ტურიზმის მენეჯმენტი“) სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 მაისის №01-07/78 გადაწყვეტილების (საფუძველი: ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 02 აპრილის №06-01/25 დადგენილება)

,,ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე („სამართალი“) და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე („სამართალმცოდნეობა“) სწავლის საფასურის განსაზღვრის თაობაზე” ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 19 ივნისის N07-01/80 გადაწყვეტილების (საფუძვლები: ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის №06-01/29 დადგენილება და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებები: (2020 წლის 3 ივნისის ბრძანებები: #01-10/59 და 01-10/60).)

,,2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილება (ცვლილება 2021 წლის 8 თებერვლის N06-01/08 დადგენილებით), ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2021 წლის 20 იანვრის N07-01/01 გადაწყვეტილების (ცვლილება -2021 წლის 8 თებერვლის N07-01/10 გადაწყვეტილებით),

ბსუ-ს წერილი საქართველოს მთავრობას (MES 3 18 0000200629, 22.02.2018 წ.), ბსუ-ს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (N1220596, 22.12.2020), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წერილი ბსუ-ს (MES 6 20 0001230544, 25.12. 2020), ბსუ-ს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MES1210000043042, 29.01.2021წ), ბსუ-ს წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (N75615, 08.02.2021წ), სამინისტროს საპასუხო წერილი ბსუ-ს (MES 9 21 0000090679, **10.02.2021წ**) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სწავლის წლიური საფასური შემცირდეს და **განისაზღვროს 2250 ლარამდე ოდენობით** ბსუ-ს იმ სამაგისტრო პროგრამებზე, რომლებზეც ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ განისაზღვრა სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის ოდენობაზე მეტით, კერძოდ:

   **1.1. 2750 ლარით:**

   ა) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ,,**სამართალი**“ (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 19 ივნისის N07-01/80 გადაწყვეტილებით);

   ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამები: **,,ბიზნესის ადმინისტრირება"** და **,,ფინანსები და საბანკო საქმე"** (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N06 გადაწყვეტილებით);

   **1.2. 2500 ლარით - ტურიზმის ფაკულტეტის ,,ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტი**“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (განისაზღვრა ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 11 მაისის №01-07/78 გადაწყვეტილებით).

2. ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურმა), შესაბამისმა ფაკულტეტებმა და საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში, ერთობლივად უზრუნველყონ ბსუ-ს შესაბამის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ, წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დროისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა (მათ შორის მობილობით ჩარიცხულთა) სიის წარდგენა ბსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის, არაუგვიანეს 2021 წლის 19 თებერვლისა (სია შედგენილი იქნეს შემდეგი ინფორმაციის მითითებით: სტუდენტის სახელი და გვარი; პირადი ნომერი; ბსუ-ში ჩარიცხვის/მობილობის აქტის თარიღი და ნომერი; გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი/თარიღი; სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი უახლესი აქტი (მაგალითად: სტატუსის გააქტიურების - სასწავლო პროცესში დაბრუნების/აღდგენის ან სტატუსის შეჩერების შესახებ); სასწავლო სამაგისტრო გრანტის ან სხვა დაფინანსების არსებობის შესახებ, გადახდილი სწავლის საფასურის/დავალიანების შესახებ და შენიშვნის გრაფა).

3. ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს <u>წინამდებარე გადაწყვეტილების მიღების დროისათვის</u> ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა (ვისაც არ დაუსრულებია სწავლა ბსუ-ში) დარიცხული სწავლის საფასურის კორექტირება. სწავლის საფასურის ზედმეტობის შემთხვევაში (წლიური 2250 ლარზე მეტი), იგი ჩაეთვალოს შემდგომი სემესტრის (ების) სწავლის საფასურში. სწავლის დასრულების/სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან სტუდენტის მოთხოვნის შემთხვევაში ზედმეტად რიცხული სწავლის საფასური დაუბრუნდეს სტუდენტს, მისი (ან უფლებამოსილი პირის) მიერ შესაბამისი განცხადების წარმოდგენის შემდეგ, წინამდებარე გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სწავლის საფასურის გადახდის წესის საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
4. ბსუ-ს რექტორმა გამოსცეს ბრძანება წინამდებარე გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ბსუ-ს სტუდენტთა სიაში აღნიშნულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანის შესახებ შეთანხმებების გაფორმების ორგანიზების შესახებ.
5. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, შესაბამის ფაკულტეტებს (იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს (დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურს), საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
8. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,**

**პროფესორი** **დავით ბარათაშვილი**